

ქობულეთის მუნიციპალიტეტი



გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სპორტული მოვლენების ორგანიზების
მომსახურების შესყიდვა

CPV 92622000 - სპორტული მოვლენების ორგანიზება

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე (იხ. <http://procurement.gov.ge/>)

ქ. ქობულეთი

2014 წელი

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

ა) დანართი №1-ში წარმოდგენილი ფორმა შევსებული სრულყოფილად.

ბ) ფასების ცხრილი დანართი №2-ის შესაბამისად.

გ) ინფორმაცია ანალოგიური სპორტული ღონისძიებების ორგანიზების მომსახურების გამოცდილების შესახებ.

2. „1“ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები პრეტენდენტმა უნდა ატვირთოს ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების ფასთან ერთად, პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული.

3. შესასყიდი მომსახურება:

2014 წლის განმავლობაში ქობულეთის მუნიციპალიტეტის „სპორტის ღონისძიებების დამტკიცებული გეგმის“ შესაბამისად სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, მათ შორის:

- 1) მსაჯებისა და ტექ პერსონალის მომსახურება;
- 2) გამარჯვებულის დაჯილდოვება (სიგელი, მედალი, ფასიანი საჩუქარი);
- 3) სხვა საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა.

4. მომსახურების გაწევის ვადები

მომსახურების გაწევის ვადაა - 2014 წლის თებერვლიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. ანგარიშსწორების პირობები:

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

ბ) ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

გ) ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

დ) ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

ე) წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – ირმა გაბინაშვილი ტ. 577-20-43-44. მისამართი: ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მესამე სართული.

პრეტენდენტის რეკვიზიტები

- პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 📠 ფაქსი.: ; 📱 მობ.: ;
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

(პრეტენდენტის დასახელება)

(ხელმოწერა)